



სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 448

07/09/2016

ქ. სიღნაღი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 09 აგვისტოს N398 ბრძანებაში „სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შევიდეს ცვლილება სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 09 აგვისტოს N398 ბრძანებაში „სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„შექმნას სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობაში თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე - ნოდარ მეულუფიშვილი, გამგებლის პირველი მოადგილე;

კომისიის წევრები:

მალხაზ ქადაგიშვილი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ქონების

მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის
განყოფილების მთავარ სპეციალისტი,
თათია ოქროპირიძე, გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარი
სპეციალისტი,

თემურ ჯავაშვილი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,
ეკა კვიციანი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

2. დაევალოს გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გადაცემის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ XIII თავით დადგენილი წესით დაინტერესებული პირებისათვის მისი გადაცემიდან (გაცნობიდან) ერთი თვის ვადაში სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით (მის. ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქ. N15)
4. ბრძანება ამოქმედდეს სათანადო წესით გამოქვეყნებისთანავე.

დავით ჯანიკაშვილი

გამგებელი

სიღნაღის მუნიციპალიტეტი

